

## პრესრელიზი

### “საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკულ კორპორაციას” გიორგი ყაველაშვილი უხელმძღვანელებს

„საქართველოს ინდუსტრიულ ჯგუფს“ ახალი წევრი გიორგი ყაველაშვილი შეემატა. 2016 წლის 1 აპრილიდან გიორგი ყაველაშვილი „საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაციის“ გენერალური დირექტორის პოზიციაზე დაინიშნა. მას აქვს მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო სექტორში, ფინანსური აუდიტის, საფინანსო პოლიტიკისა და ეკონომიკის მიმართულებით.

გიორგი ყაველაშვილი სხვადასხვა დროს მუშაობდა მთავრობის კანცელარიასა და ენერგეტიკის, ფინანსთა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროებში წამყვან პოზიციებზე. მას განათლება მიღებულ აქვს თბილისის სახელმწიფო და ვარშავის ეკონომიკის უნივერსიტეტებში, გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე პუბლიკაცია.

01.04.2016

„საქართველოს საერთაშორისო ენერგეტიკული კორპორაცია“ (სსეკ) 2005 წლის ივლისში დაფუძნდა. GIEC -, საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის შვილობილი კომპანიაა. ამჟამად „ჯი-აი-ჯი“ კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია. სსეკ-ის მთავარი სტრატეგიული ბიზნეს ერთეული მოიცავს ელექტროენერჯის გამომუშავებას და ბუნებრივი აირის რეალიზაციას. დღეისათვის სსეკ ამუშავებს 8 მცირე ჰიდროელექტროსადგურს საქართველოში და სტრატეგიული მნიშვნელობის თბოელექტროსადგურს, რომელიც მდებარეობს გარდაბნის რაიონში და უზრუნველყოფს საქართველოს მნიშვნელოვან ენერგორეზერვს.

